ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #60-7-222-161

ქ. თბილისი 24 მარტი, 2022 წ.

1. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2022 წლის 24 მარტს ერთის მხრივ **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-სა,** წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში, დირექტორთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (მინდობილობა #210506896) სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს ,,INNOVATECH"-ს** შორის, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ბერეკაშვილის სახით (შემდგომში – ,,მიმწოდებელი"), რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია მიაწოდოს ,,შემსყიდველს" **6 ცალი ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველი (ფაზების გადამრთველი) (CPV- 31200000)** წინამდებარე ხელშეკრულების, მისი დანართი N1-ის (ფასების ცხრილის) და დანართი N2-ის (საქონლის ტექნიკური პარამეტრების) შესაბამისად;

2.2. დანართი #1, დანართი #2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3[1] პუნქტის ა) ქვეპუნქტის და სსე-ს გენერალური დირექტორის 2022 წლის 23 მარტის N 12 ბრძანების შესაბამისად.

3. საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 საქონლის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **360 (სამას სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით** (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება");

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება სრულად მიწოდებულ საქონელზე ან/და საქონლის მიწოდების დასრულებისას ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანაზღაურებისათვის სათანადო დოკუმენტაციის - საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ არაუგვიანეს 8 (რვა) სამუშაო დღის განმავლობაში;

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ანგარიშსწორებისათვის განსაზღვრული ვადის დადგომამდე საქონელზე აღმოჩენილი ხარვეზის ან/და ნაკლის არსებობის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადაში (რაც მოიცავს იმ პერიოდისათვის ხარვეზის გამოსწორების ან/და საქონლის ტრანსპორტირებისათვის აუცილებელ დროს), საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს აღმოჩენილი ნაკლოვანება ან წუნდებული საქონელი შეცვალოს ახლით. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დააყოვნებს ანგარიშსწორების პროცესს იმ ვადით, სანამ მიმწოდებლის მიერ სრულად და ჯეროვნად არ შესრულდება ამ მუხლით განსაზღვრული ვალდებულება;

3.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1 **"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს" ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თვისუფალი, ექსპლუატაციაში არმყოფი საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში;**

4.2 **,,შემსყიდველი" ორგანიზაცია საქონლის ტრანსპორტირებას საკუთარი რესურსითა და სახსრებით თავად უზრუნველყოფს ,,მიმწოდებლის" შემდეგი ტერიტორიიდან: აგლაძის ქუჩა 55.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების, მისი დანართი #1–ის (ფასების ცხრილი), დანართი#2-ისა (საქონლის ტექნიკური პარამეტრები) შესაბამისად;

5.2 "შემსყიდველი" ვალდებულია:

5.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს მიწოდებული საქონლის ღირებულება;

5.2.2 შეამოწმოს საქონლის მდგომარეობა ვარგისიანობაზე;

5.2.3 წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს საქონელზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 ,,შემსყიდველს" ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი ,,მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

6.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

6.3 **,,შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ვაჟა გოგინაშვილი.**

6.4 კონტროლი განხორციელდება მიწოდებული საქონლის ხარისხისა და მიწოდების ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საბოლოოდ, სრულად ან/და მიწოდების დასრულებისას ფაქტიურად მოწოდებული საქონლის მიხედვით;

7.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრები ან / და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსები;

7.3 საქონლის მოწოდებისას "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს მოწოდებული საქონლის შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში ,,შემსყიდველსა" და ,,მიმწოდებელს" შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად მიღებული საქონლის მიხედვით;

7.4 საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე. მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ პასუხისგებლობა საქონელზე გადადის შემსყიდველზე.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით საქონლის დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ მიწოდების შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხარისხიანი საქონლის სრულად მიწოდების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

8.2 „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებლი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გადაიხადოს პირგასამტეხლო მაქსიმუმ ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას;

8.5 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 8.2 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს–მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო–სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, ხორციელდება საფოსტო გზავნილის ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით;

10.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება;

10.3 ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

11. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

11.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

11.2 შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა, ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

11.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

11.3.1 მხარეთა შეთანხმებით;

11.3.2 ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული დარღვევის აღმოჩენიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს;

11.4 ,,შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

11.4.1 თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 ,,მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის" მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

11.4.4 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. დავის განხილვა

13.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე;

14.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება აღნიშნული პირობების შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს **2022 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

15. ხელშეკრულების სხვა პირობები

15.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე;

15.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;

15.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

16. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა

მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში" დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს", რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).

17. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი":	"მიმწოდებელი":
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს ,,INNOVATECH"
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.#2	მის: ქ.თბილისი. აგლაძის ქუჩა N55
საიდ. კოდი: 204995176	საიდ.კოდი: 404916971
ს/ს „თიბისი ბანკი"	ს/ს ,,პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE 22	სანგარიშის №GE33PC0133600100062588
ანგარიშის №GE02TB0600000102467636	
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში,	დირექტორი
დირექტორთა საბჭოს წევრი	გიორგი ბერეკაშვილი
დავით ვარდიაშვილი	

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.03.24 15:16:11 +04'00'

Giorgi Berekashvili 01005001895
Digitally signed by Giorgi Berekashvili
Date: 2022.03.24 14:43:33

დანართი# 1
ფასების ცხრილი:

N	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	მთლიანი ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	ორპოლუსა სამპოზიციური გადამრთველი (ფაზების გადამრთველი) – BPT-63 2P 63A IEK	6 ცალი	60	360

- **საქონელი უნდა იყოს ექსპლუატაციაში არმყოფი, არ უნდა იყოს აღდგენილი და მეორადი.**

„შემსყიდველი“:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში,

დირექტორთა საბჭოს წევრი

დავით ვარდიაშვილი

_____

„მიმწოდებელი“:

შპს ,,INNOVATECH”.

გიორგი ბერეკაშვილი

დირექტორი

___ Giorgi Berekashvili 01005001895 Digitally signed by Giorgi Berekashvili Date: 2022.03.24 14:42:21

დანართი# 2
საქონლის ტექნიკური პარამეტრები

<u>ორპოლუსა სამპოზიციური გამთიშველი, გადამრთველი (ფაზების გადამრთველი) კონტაქტებით – BPT-63 2P 63A IEK</u>

- კვების ქსელის ძაბვა: ცვლადი 400 ვოლტამდე, (230/400 VAC);
- კვების ქსელის სიხშირე: 50 ჰერცი (-5% ÷ +10% Hz);
- გადამრთველის პოლუსების რაოდენობა: ორპოლუსა;
- გადამრთველის პოზიციების რაოდენობა: სამპოზიციური (I მუშა მდგომარეობა ერთ მხარეს; 0 ნეიტრალური მდგომარეობა (შუაში) და II მუშა მდგომარეობა მეორე მხარეს);
- 35 მილიმეტრი სიგანის DIN სალტეზე დასამონტაჟებელი;
- შესასყიდი ორპოლუსა, სამპოზიციური გადამრთველის ნომინალური დენი და რაოდენობა: 63 ამპერი (63A)

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
სსს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“	შპს ,,INNOVATECH".
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში,	გიორგი ბერეკაშვილი
დირექტორთა საბჭოს წევრი	დირექტორი
დავით ვარდიაშვილი	
_____	_____